ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

აგვისტო 2022

საქართველო

სასტუმროს ფასების დინამიკა აჭარაში

Research

www.pmcresearch.org

ტურიზმის ყოველთვიური მიმოხილვა

საქართველო

აგვისტო 2022

- უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, **რუსი, ბელორუსი და უკრაინელი ვიზიტორების მიერ საზღვრის გადაკვეთის სტატისტიკაში მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა.** 2022 წლის აგვისტოში სხვაობა შემოსვლისა და გასვლის რაოდენობას შორის, მსგავსად წინა თვეებისა, ყველაზე მაღალი რუსების შემთხვევაში აღმოჩნდა.
- ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში **სასტუმროს ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა**, რაც განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა საერთაშორისო ტურიზმის ნაწილობრივი აღდგენა, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდე რუსი, ბელორუსი და უკრაინელი მოგზაურების მასობრივი შემოსვლა, შიდა ვიზიტორების მხრიდან გაზრდილი მოთხოვნა საქართველოს ტურისტულ ადგილებზე და სასტუმროს ფუნქციონირებისათვის აუცილებელი საქონლის გაზრდილი ფასები.
- 2016-2020 წლების განმავლობაში, ყოველ მესამე კვარტალში აჭარაში ვიზიტების რიცხვმა, საშუალოდ, **საერთაშორისო ვიზიტების 42%, ხოლო ადგილობრივი ვიზიტების 14.9% შეადგინა.**
- 2022 წლის ზაფხულში, **სასტუმროების საშუალო ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა** პანდემიამდელ მაჩვენებელთან შედარებით. ფასების განსაკუთრებული ზრდა აჭარის რეგიონში შეინიშნებოდა. სასტუმროს საშუალო ფასი რეგიონში **2019 წელთან შედარებით 16%, 2021 წელთან შედარებით კი 25%-ით გაიზარდა.** ბათუმში კი ზაფხულის საშუალო ფასები, შესაბამისად, 17% და 23%-ით გაიზარდა.

- 2022 წლის აგვისტოში საქართველოში **სასტუმროს ფასების ინდექსი (სფი)** 2022 წლის ივლისთან შედარებით 1.4%-ით გაიზარდა, ხოლო 2021 წლის აგვისტოსთან შედარებით -15.8%-ით. აღსანიშნავია, რომ წლიური ფასების ზრდა განსაკუთრებით მაღალი საოჯახო სასტუმროებისთვის აღმოჩნდა (36.3%).

საერთაშორისო მოგზაურობის დინამიკა

- **საერთაშორისო მოგზაურთა**[1] რიცხვი 2022 წლის აგვისტოში 195.5%-ით გაიზარდა, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, და 32.9%-ით შემცირდა 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

- **საერთაშორისო ვიზიტორების**[2] რაოდენობა 178.5%-ით გაიზარდა (2022/2021) და 31.7%-ით შემცირდა (2022/2019), ხოლო **საერთაშორისო ტურისტების**[3] რაოდენობა 135.8%-ით გაიზარდა (2022/2021) და 22.6%-ით შემცირდა (2022/2019).



- 2022 წლის აგვისტოში[4] საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობით გამოირჩეოდნენ **რუსეთი** (213 261 ვიზიტით), **სომხეთი** (138 471 ვიზიტით) და **თურქეთი** (103 548 ვიზიტით).

- საქართველოს მსხვილ ტურისტული ბაზრებს შორის, **საუდის არაბეთიდან** (94.3%), **ბელარუსიდან** (91.3%) და **ყაზახეთიდან** (21.1%) საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობამ 2019 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ვიზიტების რაოდენობა **რუსეთიდან** (2.6%) 2019 წლის ამ პერიოდის ნიშნულს დაუბრუნდა.

წყარო: საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია

1 საერთაშორისო მოგზაურები მოიცავს იმ ადამიანებს, ვინც გადაადგილდებიან გეოგრაფიულ ადგილმდებარეობებს შორის ნებისმიერი მიზნითა და ხანგრძლივობით. აღნიშნული ტერმინი მოიაზრებს საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც არიან უცხო ქვეყნის რეზიდენტები და არ მოიცავს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც არიან საქართველოს რეზიდენტები.
2 საერთაშორისო ვიზიტორი არის მოგზაური, რომელიც ტოვებს საკუთარ ჩვეულ საცხოვრებელს 1 წელზე ნაკლები პერიოდითა და ნებისმიერი მიზნით (ბიზნესი, დასვენება და სხვა პირადი მიზანი) გარდა ვიზიტის ქვეყანაში რეზიდენტ დანესებულებაში დასაქმებისა. საკუთარ საცხოვრებელში მოიაზრება გეოგრაფიული არეა, სადაც პიროვნება ახორციელებს მის რეგულარულ ცხოვრების რუტინას. ამის გათვალისწინებით, სტატისტიკა არ მოიცავს იმ ადამიანებს, რომლებიც 8 ან მეტ ვიზიტს ახორციელებენ საქართველოში.
3 ვიზიტორი (ადგილობრივი, უცხოელი და გამყვანი) კლასიფიცირდება როგორც ტურისტი, თუ მისი მოგზაურობა მოიცავს ღამისთევას.
4 გაითვალისწინეთ, რომ საერთაშორისო ვიზიტორთა სტატისტიკის დათვლისას გამოყენებულია ვიზიტორთა მიერ საქართველოს დატოვების მონაცემები, შესაბამისად აღნიშნული სტატისტიკა სრულად არ ასახავს 2022 წლის შესაბამის თვეში შემოსული ვიზიტორების რაოდენობას.

რუსების, ბელორუსების და უკრაინელების შემოსვლები და გასვლები

- უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, საზღვრის გადაკვეთის სტატისტიკამ **რუსების, ბელორუსების და უკრაინელების შემოსვლისა და გასვლის რაოდენობაში მნიშვნელოვანი განსხვავებები აჩვენა.**



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, შინაგან საქმეთა სამინისტრო

- 2022 წლის აგვისტოში **რუსეთიდან დაახლოებით 48 ათასით მეტი ვიზიტორი შემოვიდა, ვიდრე გავიდა.** უკრაინისთვის აღნიშნული მაჩვენებელი დაახლოებით 3.6 ათასს გაუტოლდა, ხოლო ბელარუსისთვის კი - 2.9 ათასს.
- 2022 წლის მარტი-აგვისტოს განმავლობაში **რუსეთიდან დაახლოებით 228 ათასით მეტი ვიზიტორი შემოვიდა, ვიდრე გავიდა**, ხოლო შესაბამისი მაჩვენებელი უკრაინელებისა და ბელორუსებისთვის 37 და 29 ათასი იყო[5].
- ამ პერიოდში **სხვაობა** (ანუ მეტი შემოსვლა, ვიდრე გასვლა) **განსაკუთრებით მაღალი იყო რუსებისთვის**, რომელსაც მოსდევდა უკრაინა და ბელარუსი.

5 სტატისტიკური შეუსაბამობები შესაძლოა გამოწვეული იყოს იმ ფაქტით, რომ გასვლები მოიცავს საერთაშორისო ვიზიტორებს (იხ. მე-2 განმარტება სქოლიოში) და მონაცემები აღებულია საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ვებ-გვერდიდან. ხოლო, გასვლები მოიცავს მოცემული ქვეყნის ყველა მოქალაქეს და მონაცემები აღებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდიდან.

სასტუმროს ფასების დინამიკა აჭარაში

- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით, 2016 წლის შემდეგ **აჭარა ყველაზე ხშირად მონახულებულ რეგიონებს შორისაა**, განსაკუთრებით ზაფხულის სეზონზე, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ვიზიტორების მიერ. 2016-2020 წლების განმავლობაში, ყოველ მესამე კვარტალში აჭარაში ვიზიტებმა, საშუალოდ, ქვეყანაში საერთაშორისო ვიზიტების 42%, ხოლო ადგილობრივი ვიზიტების 14.9% შეადგინა.[6]





წყარო: Booking.com, PMC RC calculations

- **2020 წლის დასაწყისში**, Covid-19-ის გავრცელების გამო, სასტუმროების ფასები მკვეთრად დაეცა ყველა ტიპის სასტუმროსთვის. აჭარაში სასტუმროს ფასების ინდექსი (სფი) 2020 წლის განმავლობაში უარყოფითი იყო. წლიდან წლამდე ფასების ვარდნა ყველაზე ძლიერად გამოხატული 3, 4 და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროებისთვის იყო.

- **2021 წლის მარტიდან, წლიდან წლამდე სასტუმროს ფასების ინდექსმა ნიშანი შეიცვალა და დადებითი გახდა,** რაც ძირითადად დაბალი საბაზო ეფექტითა და პანდემიასთან დაკავშირებული შეზღუდვების შემსუბუქებითაა განპირობებული. აღსანიშნავია, რომ სფი-ის ზრდა ძირითადად 3, 4 და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ინდექსის ზრდითაა გამოწვეული. საოჯახო ტიპის სასტუმროების ყოველთვიური ინდექსი 2021 წლის დეკემბრამდე უარყოფითი იყო, რაც ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას ვიზიტორების მაღალი ნდობით სასტუმროების მიმართ, საოჯახო სასტუმროებთან შედარებით.

- 2021 წლის ივნისიდან წლის ბოლომდე, **ფასები თითქმის დაუბრუნდა პანდემიამდელ ნიშნულს,** ვინაიდან, 2019 წელთან შედარებით, სფი ნულს მიუახლოვდა.

- მიუხედავად იმისა, რომ ფასებმა აღდგენა 2021 წლის მარტში დაიწყო, **ფასები ყველა კატეგორიისათვის პანდემიამდელ მაჩვენებელს მხოლოდ 2022 წლის ზაფხულში დაუბრუნდა**. ზაფხულში საშუალო სეზონური ინდექსი, 2019 წელთან შედარებით, 10.9%-ს გაუტოლდა. აჭარაში ფასების მნიშვნელოვანი ზრდა შესაძლებელია დავუკავშიროთ განთავსების საშუალებებზე გაზრდილ მოთხოვნას, რაც თავის მხრივ, განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა საერთაშორისო ფრენების სრული აღდგენა[7] და საერთაშორისო ვიზიტორების (განსაკუთრებით რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების) მასობრივი შემოსვლა.

6 საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
7 https://bm.ge/ka/article/quotacharashi-gvaqvs-turizmis-agdgenis-uprecedento-machvenebeli-wels-savaraudod-rekorduli-weli-iqnebaquot/115063/

სასტუმროს საშუალო ფასების დინამიკა

- სასტუმროების საშუალო ფასებზე დაკვირვება სასტუმროების ინდექსის მსგავს დინამიკას ასახავს. საშუალო ფასების დინამიკა სეზონურობას აჩვენებს, რაც ზაფხულის პერიოდში ზღვისპირა რეგიონებზე მაღალი მოთხოვნით აიხსნება. ფასების ცვლილება განსაკუთრებით მკვეთრია 5-ვარსკვლავიანი სასტუმროებისათვის, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასები შედარებით სტაბილურია.

სასტუმროს საშუალო ყოველთვიური ფასები აჭარაში (2018-2022 აგვისტო), ლარი



სასტუმროს საშუალო ყოველთვიური ფასები ბათუმში (2018-2022 აგვისტო), ლარი



წყარო: Booking.com, PMC RC calculations

- **ზაფხულის თვეების განმავლობაში, 2018-2022 წლებში, სასტუმროს საშუალო ფასები ბათუმში 81-100 ლარის ფარგლებში, ხოლო აჭარაში 68-84 ლარის ფარგლებში იცვლებოდა.** აღსანიშნავია, რომ ყოველთვიური ფასები, საშუალოდ, 18%-ით მაღალია ბათუმში, აჭარასთან შედარებით და ეს სხვაობა ყოველწლიურად იზრდება.

- 2022 წლის მარტიდან, **სასტუმროების საშუალო თვიური ფასები აჭარასა და ბათუმში იზრდებოდა და მაქსიმუმს, შესაბამისად, 268 და 289 ლარს, 2022 წლის ივლისში მიაღწია**. ეს შესაძლოა აიხსნას ისეთი ფაქტორების კომბინაციით. როგორებიცაა შეზღუდვების გაუქმება და უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ რუსების, უკრაინელებისა და ბელარუსების მასობრივი შემოსვლა.

- **2022 წლის ზაფხულში, სასტუმროების საშუალო ფასებმა მნიშვნელოვანი წლიური ზრდა აჩვენა და არა მხოლოდ აღდგა 2019 წელთან შედარებით, არამედ პანდემიამდელ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად გადააჭარბა**. საშუალო ფასები აჭარაში 2019 წელთან შედარებით 16%-ით, ხოლო 2021 წელთან შედარებით 25%-ით გაიზარდა. ბათუმისთვის ეს მაჩვენებლები, შესაბამისად, 17%-სა და 23%-ს გაუტოლდა.

- უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო თვეების განმავლობაში ფასების ზრდა ძირითადად გამოწვეულია კოვიდ-შეზღუდვების გაუქმებით, საერთაშორისო ტურიზმის აღდგენით, რუსი, ბელორუსი და უკრაინელი მოგზაურების მასობრივი შემოსვლითა და სასტუმროს ფუნქციონირებისათვის აუცილებელ პროდუქციაზე გაზრდილი ფასებით.

სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

- საქართველოში სასტუმროების ფასების ინდექსი[8] 2022 წლის აგვისტოში, 2022 წლის ივლისთან შედარებით, 1.4%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 0.9%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 1.5%-ით გაიზარდა.
- თვიური ინდექსი ყველაზე მაღალი აჭარასა (6.5%) და შიდა ქართლში (5.7%) აღმოჩნდა, ყველაზე ნაკლები კი გურიაში (-4%).
- 2022 წლის აგვისტოში, 2021 წლის აგვისტოსთან შედარებით,სასტუმროების ფასების ინდექსი 15.8%-ით გაიზარდა, მათ შორის 3, 4 და 5 ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 14.4%-ით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასები 36.3%-ით გაიზარდა.
- წლიური ინდექსი ყველაზე მაღალი იყო აჭარასა (27.6%) და კახეთში (19%), ყველაზე ნაკლები კი შიდა ქართლში (-3.9%).

რეგიონი	**სასტუმრო**		**3*, 4*, 5***		**საოჯახო**	
	2022 აგვ/ 2022 ივლ	**2022 აგვ/ 2021 აგვ**	**2022 აგვ/ 2022 ივლ**	**2022 აგვ/ 2021 აგვ**	**2022 აგვ/ 2022 ივლ**	**2022 აგვ/ 2021 აგვ**
კახეთი	2.7%	19.0%	-0.2%	11.5%	4.0%	22.8%
იმერეთი	-1.5%	15.0%	-1.5%	17.1%	-1.4%	13.6%
გურია	-4.0%	9.0%	-8.6%	-1.8%	11.4%	34.2%
ქვემო ქართლი	0.0%	10.0%	0.0%	10.0%		
აჭარა	6.5%	27.6%	6.1%	19.2%	7.8%	44.1%
რაჭა	0.0%	19.1%			0.0%	19.1%
შიდა ქართლი	5.7%	-3.9%	0.0%	-3.8%	8.7%	-4.1%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2.0%	6.1%	2.0%	1.7%	2.0%	10.2%
სამცხე-ჯავახეთი	-3.9%	18.0%	-5.5%	6.6%	-3.0%	28.2%
მცხეთა-მთიანეთი	-0.5%	1.7%	2.6%	0.4%	-2.6%	2.6%
თბილისი	0.3%	11.7%	0.2%	10.4%	1.0%	43.7%
სულ ფასების % ცვლილება	**1.4%**	**15.8%**	**0.9%**	**11.4%**	**1.5%**	**36.3%**

8 სასტუმროების ფასების ინდექსის გაანგარიშება მოხდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების მიხედვით. უმცირესი ერთობლიობის ინდექსი გამოთვლილია Jevons-ის ინდექსით.

სასტუმროს საშუალო ფასები

- 2022 წლის აგვისტოში, საქართველოში 3-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა[9] **182 ლარი** შეადგინა, ხოლო 4-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასმა - **284 ლარი**. საოჯახო ტიპის სასტუმროების[10] საშუალო ფასმა აგვისტოში **122 ლარი** შეადგინა.

- 5-ვარსკვლავიან სასტუმროთა საშუალო ფასმა აგვისტოში **510 ლარი** შეადგინა. გურიაში ამ ტიპის სასტუმროებში, სტანდარტული 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასმა 727 ლარი შეადგინა, კახეთში - 569 ლარი, აჭარაში - 547, ხოლო თბილისში - 538.

3*, 4* და საოჯახო ტიპის სასტუმროთა საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2022 აგვისტო, ლარი)



9 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3*, 4*, 5* და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვების შედეგად. სასტუმროების შერჩევა მოხდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ანალიზი მოიცავს booking.com-ზე დარეგისტრირებულ, საქართველოს ტერიტორიაზე განთავსებულ 3*, 4*, 5* სასტუმროების 71%-ს (312 ობიექტი) და საოჯახო ტიპის სასტუმროების 25%-ს (456 ობიექტი). 3*, 4* და 5* სასტუმროების ფასებზე მონაცემების მიღება ხდება სასტუმროებთან დაკავშირების საფუძველზე, ხოლო საოჯახო სასტუმროების ფასებზე ინფორმაციის წყარო booking.com-ია. საშუალო ფასები გამოითვლება სასტუმროების სტანდარტული ორ ადგილიანი ნომრების დღიური განაკვეთების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

10 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები

	2016	2017	2018	2019	2020	I 2021	II 2021	III 2021	IV 2021	2021	I 2022	II 2022
მშპ მიმდინარე ფასებში განთავსების საშუალებებისა და საკვები ობიექტების აქტივობებიდან (მლნ)	1054.1	1437.5	1800.0	2223.0	1204.5	197.8*	452.2*	602.3*	472.0*	1724.4*	372.8*	-
საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა (ათასი)	6720.0	7902.5	8679.5	9357.9	1747.1	134.7	351.3	815.4	579.8	1881.3	576.5	1049.4
ტურისტების რაოდენობა (ათასი)	3297.3	4069.4	4756.8	5080.5	1087.0	116.6	305.8	670.4	484.7	1577.5	456.0	749.3
საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავალი (მლნ აშშ დოლარი)	2110.7	2704.3	3222.1	3268.7	541.7	53.6*	246.1*	566.0*	379.3*	1244.9*	393.7*	748.8*
ქართველი მოგზაურების დანახარჯები საზღვარგარეთ (მლნ აშშ დოლარი)	386.3	463.6	524.7	657.2	180.5	19.7*	37.1*	62.6*	64.5*	184.1*	72.2*	-
პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ჰორეკა სექტორში (მლნ აშშ დოლარი)	120.0	109.5	82.3	123.4	-249.5	-0.9*	-1.4*	10.7*	0.7*	7.7*	12.1*	-

* პირველადი მონაცემები

სამართლებრივი შეტყობინება

ვებგვერდზე წარმოდგენილი პუბლიკაციები მომზადებულია PMC კვლევითი ცენტრის მიერ მხოლოდ საინფორმაციო და/ან მარკეტინგული მიზნებისთვის. პუბლიკაციებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენს მხოლოდ რჩევას და, შესაბამისად, მკითხველი თავად არის პასუხისმგებელი შინაარსის ნებისმიერ ინტერპრეტაციაზე. PMC კვლევითი ცენტრი არ იღებს პასუხისმგებლობას მკითხველის მიერ მასალების გამოყენების შედეგად წარმოშობილ პრეტენზიებზე. პუბლიკაცია წარმოდგენილია ისე, „როგორც არის“, ყოველგვარი გამოხატული ან ნაგულისხმევი რეპრეზენტაციისა და გარანტიის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი აბზაცის ზოგად გზავნილთან წინააღმდეგობის გარეშე, PMC კვლევითი ცენტრი არ იძლევა გარანტიას, რომ:

პუბლიკაცია მუდმივად ხელმისაწვდომი იქნება;

რომ პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია არის სრული, ჭეშმარიტი, ზუსტი ან არ არის შეცდომაში შემყვანი.

PMC კვლევითი ცენტრი იტოვებს უფლებას, დროდადრო შეცვალოს პუბლიკაციების შინაარსი ისე, როგორც ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

PMC კვლევითი ცენტრი თავიდან იხსნის სხვა მხარეების უფლებების დარღვევასა ან PMC კვლევითი ცენტრის პუბლიკაციების გამოყენების შედეგად გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე ყოველგვარ პასუხისმგებლობას. PMC კვლევით ცენტრს არ აქვს მკითხველის წინაშე პასუხისმგელობის ვალდებულება (კონტრაქტის კანონით, დელიქტური კანონით თუ სხვაგვარად) პუბლიკაციის შინაარსთან, გამოყენებასა ან პუბლიკაციასთან კავშირის ნებისმიერ სხვა ფორმასთან დაკავშირებით.

მკითხველი აღიარებს, რომ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის სუბიექტი, PMC კვლევითი ცენტრი დაინტერესებულია, შეზღუდოს თავისი ოფიცრებისა და თანამშრომლების პირადი პასუხისმგებლობა. მკითხველი თანხმდება, რომ მისთვის პუბლიკაციით გამოწვეული ნებისმიერ დანაკარგის შესახებ პრეტენზიებს არ წამოუყენებს პირადად PMC კვლევითი ცენტრის ოფიცრებს ან თანამშრომლებს.

მკითხველი თანხმდება, რომ გარანტიებისა და ვალდებულებების შეზღუდვები, რომლებიც მითითებულია ამ სამართლებრივ შეტყობინებაში, იცავს PMC კვლევითი ცენტრის მკვლევრებს, ოფიცრებს, თანამშრომლებს, აგენტებს, შვილობილ კომპანიებს, მემკვიდრეებს, უფლებამოსილ პირებს და ქვეკონტრაქტორებს, ისევე როგორც თავად PMC კვლევით ცენტრს.

თუ ამ სამართლებრივი შეტყობინების რომელიმე დებულება მოქმედი კანონმდებლობით არის ან აღმოჩნდება არაალსრულებადი, ეს არ იმოქმედებს პუბლიკაციის სხვა დებულებების აღსრულებადობაზე.

გიორგი ხიშტოვანი
კვლევითი დირექტორი
g.khishtovani@pmcginternational.com

ნიკა კაპანაძე
მკვლევარი
n.kapanadze@pmcginternational.com

ნანა ქაჯაია
უმცროსი მკვლევარი
n.kajaia@pmcginternational.com

სოფიო მკერვალიძე
სტაჟიორი
s.mkervalidze@pmcginternational.com

მის.: 61 აღმაშენებლის გამზირი, მე-3 სართული, თბილისი, 0102, საქართველო.
ტელ: (+995 32) 2921171, 2921181
ელ. ფოსტა: research@pmcginternational.com
ვებსაიტი: pmcresearch.org